CV

ქეთევან შენგელია დაიბადა ქალაქ თბილისში. პირველადი მუსიკალური განათლება მიიღო სპეციალიზებულ მუსიკალურ სკოლაში – ნიჭიერთა ათწლედში, ფორტეპიანოს კლასით. სწავლა გააგრძელა კონსერვატორიაში, იმავე მიმართულებით. ამ პერიოდში სფერო სოლო საშემსრულებლო რეპერტუარის გარდა დაინტერესდა საანსამბლო ხელოვნებითა და მუსიკალური ესთეტიკით. აგრძელებს სწავლას თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ასპირანტურაში, კამერული ანსამბლის მიმართულებით. ამავდროულად დაკავებულია პედაგოგიური მოღვაწეობით. მეგობრებთან ერთად ქმნის მუსიკალურ ჯგუფს, რომლის ძირითადი რეპერტუარი დასავლეთ ევროპული მე-17-18 საუკუნის მუსიკალური ნიმუშებია. ამ მიმართულებით საქართველოში არსებული ინფორმაციული სიმწირის გამო მიემგზავრება ევროპაში. წლების განმავლობაში ქეთევან შენგელია სწავლობს და მუშაობს საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთსა და ესპანეთში. კერძოდ, მიღებული აქვს ლაიფციგის (გერმანია) მენდელსონის სახელობის მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი. იღებს მონაწილეობას ევროპის წამყვან მუსიკოსთა მასტერ კლასებში (რობერტ ჰილი - დიდი ბრიტანეთი, ზიგფრიდ ფანკი- გერმანია) ამასთანავე ფართოვდება მისი პროფესიული კავშირები საქართველოსთან. თავის უცხოელ მეგობრებთან ერთად ქეთევან შენგელია აარსებს მუსიკალურ საგანმანათლებლო ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში პროფესიული მუსიკალური საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებას ემსახურება. ეს გამოიხატება ევროპაში აპრობირებული და წარმატებული საგანმანათლებლო სისტემის საქართველოში არსებულ ტრადიციულ სასწავლო მეთოდიკასთან დაახლოებასა და ურთიერთ სასარგებლო კავშირების განვითარებაში. ამ მიმართულებით ქეთევანი წარმატებულად თანამშრომლობს საქართველოში არსებულ კერძო თუ სახელმწიფო ინსტიტუციებთან. განხორციელებული აქვს პროექტები შშმ მოზარდებისთვის და მუშაობს საქართველოში მუსიკის თერაპიის სისტემური ბაზის შექმნაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. კერძოდ, მიღებული აქვს დაფინანსება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

სამინისტროს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსიდან, რის შედეგადაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ბავშვის განვითარების ინსტიტუტში დაინერგა მუსიკის თერაპიით მკურნალობის კურსი.
ქეთევან შენგელიამ პირველად საქართველოში შექმნა ბაროკოს მუსიკის სწავლებისა და კვლევის პრეცედენტი ილიაუნის მუსიკის ცენტრის ბაზაზე. მისი ინიციატივით შესაძლებელი გახდა ჰააგის სამეფო კონსერვატორიის (ჰოლანდია) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის სტუდენტების ერთობლივი სემინარების და კონცერტების ჩატარება. ქეთევანი მონაწილეობს ძველებური მუსიკის კონცერტებში. მათ შორის მევიოლინე კენ აისოსთან (იაპონია)და ფლეიტისტ თაის ბაარსელთან (ჰოლანდია) ერთად.
კითხულობს საჯარო ლექციებს თემაზე - „ბაროკოს ხანის მუსიკალური რიტორიკული ფიგურები ბახის კანტატების განხილვის მაგალითზე“, „ისტორიული კლავიშიანი ინსტრუმენტების მექანიზმების თავისებურებების მნიშვნელობა ბაროკოს ხანის მუსიკის საფორტეპიანო ინტერპრეტაციისათვის“.
ასევე იგი ხელმძღვანელობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ბაზაზე არსებულ საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამას. ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტში მუსიკის საგნის სახელმძღვანელოს პრეზენტაციებსა და ვორქშოფების ჩატარებას.

ქეთევან შენგელია წლების მანძილზე მუშაობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტად.

იგი მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრია.

ამჟამად ქეთევან შენგელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორია, მუსიკის მიმართულებით.

სამეცნიერო ინტერესის სფეროები / კვლევითი ინტერესები

- სასკოლო და საუნივერსიტეტო მუსიკალური განათლების საკითხები

- მუსიკის სწავლების მეთოდიკა
- მუსიკის პედაგოგიკა
- მე-17-18 საუკუნეების დასავლეთევროპული მუსიკა; მისი შესაძლო კავშირები და გავლენები ამავე პერიოდის ქართულ მუსიკაზე
- კლავესინის და ზოგადად კლავიშიანი საკრავების ისტორია